პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190) შეტანილ იქნეს ცვლილება და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ კასატორი სათანადოდ დაასაბუთებს (თანდართული მასალებით), რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

დ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

Tea 5/7/15 1:47 PM
Comment: ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის R (95) რეკომენდაციით კასატორს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განიხილოს მისი საჩივარი მესამე ინსტანციამ. (იხ. მუხ. 7.c)

Administrator 5/7/15 1:50 PM
Comment: ვფიქრობთ, რომ კანონპროექტში მოცემული ფორმულირება, რომ „საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავსი კატეგორიის საქმეზე გადაწყვეტილება არ ჰქონია მიღებული“ არაგონივრულ ტვირთს აკისრებს კასატორს. კერძოდ მან უნდა შეისწავლოს საკასაციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება, რათა სათანადოდ დაასაბუთოს რომ ასეთი კატეგორიის საქმე უზენაეს სასამართლოში ჯერ არ ყოფილა განხილული.

აქედან გამომდინარე უპირატესობა უნდა მიენიჭოს წინამდებარე ფორმულას.

Administrator 5/7/15 1:47 PM
Comment: ტერმინი „მსგავსი კატეგორიის საქმე ბუნდოვანია და უმჯობესია ფორმულა „მსგავს სამართლებრივ საკითხზე“

ე) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის საქმეზე/საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ***გ. მარგველაშვილი***